პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 66
(5616)
4
1976 წ.
აპრილი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ალიმართება
სსრ კავშირის XXXVIII საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი



განცდები გულშემატკივრისა...

ქართველ ფეხბურთელებს

მრავალნაირი არსებობს შვება,
მაგრამ არსებობს ერთი მათგანიც...
სამუდამოდ რომ ხსოვნაში გრჩება,
შვება —
მოგვრილი ბურთის გატანით.
ბევრნაირია თამაშის კლასი,
მაგრამ კლასს ქართულს ვარ დანატრული...
მინდორზე მინდა: ქართველი კაცი,
ქართული ეშხით,
სულით,
ნატურით.
მრავალნაირი არსებობს ტემპი,
მაგრამ არსებობს ტემპი — სატანა...
გატანილ გოლს რომ მეტოქეც ეტრფის,
აი, იმ ტემპით გოლის გატანა.
მრავალნაირი არსებობს ფინტი,
მაგრამ არსებობს ფინტი სხვაგვარიც...
იმ დროს,
მეტოქე ბურთთან რომ მიდის
და სტადიონს რომ გააქვს დგანდგარი.
მრავალნაირი არსებობს სულთქმა,
მაგრამ არსებობს გულდამთუთქველიც...
როდესაც რაღაც ვერ არის სუფთა
და გულის სახსრებში ტანჯვა უთქმელი.
არსებობს აზრიც
სხვადასხვა, მჯერა,
დამეთანხმებით ალბათ ამაშიც...
მაგრამ ვერ ვგუობ,
ვერა და ვერა,
ულიმღამო რომ მქვია თამაში.
მრავალნაირი არსებობს ცრემლი,
მე კი... ერთ-ერთის დამდევს აჩრდილი...
როდესაც მრჩება თვალები სველი
და ბურთი ყელში რომ მაქვს გაჩრილი.
ზოგჯერ მოგება სიცოცხლეს უდრის,
არსებობს, ვიცი,
ამ დროს, წაგებაც...
მაგრამ სამშობლოს თუ ვერ გრძნობს გუნდი,
არ ღირს იმ გუნდის,
თუნდაც, ძაგება.
...მრავალნაირი არსებობს შვება,
მაგრამ არსებობს ერთი მათგანიც...
როდესაც
დიდხანს
ხსოვნაში გრჩება
შვება,
მოგვრილი გოლის გატანით.

ნოდარ ნარსია.

თბილისელი ჭაბუკები ნაკრებში

ამ დღეებში გროზნოში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, რსფსრ-ს, მოსკოვის, ლენინგრადის, სომხეთის, კრასნოდარისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრები და მოსკოვის გუნდი. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1. დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდში ოთხი ჭაბუკია თბილისის ნორჩი დინამოელიდან: ლეჟავა, ალექსიძე, ბოლაშვილი და მებუკიძე. ყველა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ო. უშვერიძის აღზრდილია.

სსრ კავშირის ნაკრები ივნისში მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც საფრანგეთის ქალაქ კანში გაიმართება.

[illegible]
შედეგები...

ზაპოროჟიე, 2 აპრილი. (საქდესის კორ.). სპორტის სასახლე „იუნოსტში“ დღეს გრძელდებოდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის თამაშები. შედეგები ასეთია: სპორტნაწარმის ფაბრიკა (ბაქო) — უპი (სვერდლოვსკი) 13:8 (6:4), „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — „მეტალურგი“ (კიევის ოლქი) 8:18 (4:11), „სპარტაკი“ (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 25:12 (11:4), ზიი (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (კიშინიოვი) 17:17 (9:8).

კნიაზევას ბაზრი რაპირა

მინსკი, 3 აპრილი. (საქდესის კორ.). ყაზანელმა სტუდენტმა ოლგა კნიაზევამ მოიგო რაპირისტთა საერთაშორისო ტურნირის პირადი შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში 10 ქვეყნის მოფარიკავე ქალები ეცილებიან ერთმანეთს „ბელორუსიის თასს“. ფინალში კნიაზევამ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო, მხოლოდ ერთხელ დამარცხდა თანაქალაქელ ნაილი გილიაზოვასთან. II ადგილი ყაზანის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ვალენტინა ნიკონოვამ დაიკავა. III ადგილზეა მოსკოველი ვალენტინა სიდოროვა.

— ფინალურმა შეჯიბრებამ ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერეს მოფარიკავე ქალს მოუყარა თავი, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა გალინა გოროხოვამ. — დასკვნითს ეტაპზე მხოლოდ ერთი უცხოელი სპორტსმენი — გფრ-ის წარმომადგენელი იუტა ჰიონე ასპარეზობდა. შეჯიბრების დაძაბულობაზე შეიძლება თუნდაც იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ რუმინეთის გუნდის არც ერთ წარმომადგენელს არ მოუპოვებია ფინალის საგზური, ეს გუნდი კი ტურნირში ძირითადი შემადგენლობით გამოდის.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულ 4 აპრილს გამოვლინდება.

[illegible]...

თბილისის „ისნის“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0.

ეს ერთადერთი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანა ტრუსოვმა.

დინამოელთა რიგებში გამოდიოდნენ: იმნაძე, გავაშელი, კანთელაძე, ჰილაია (ჩივაძე), ებრალიძე, ესებუა, ვლაშჩენკო (მინაშვილი), კოპალეიშვილი, ებანოიძე, გ. მაჩაიძე, წერეთელი.

[illegible]

[illegible]-76

● *სოჭი, 1 აპრილი. საკავშირო მრავალდღიანი საგაზაფხულო ველორბოლის პირველი ეტაპი გუშინ 30 კმ-ზე რიგ-რიგი სტარტით ინდივიდუალურ რბოლას მიეძღვნა. ყველას აჯობა დინამოელმა ნ. გორელოვმა (მოსკოვის ოლქი) — 47.15. მეორე იყო სპარტაკელი ვ. პანჩენკოვი (ბრიანსკი) — 47.19, ხოლო მესამე — ასევე სპარტაკელი ვ. ჩაპლიგინი (კურსკი) — 47.22.*

● **ვოლგოგრადი,** 2 აპრილი. აქ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ქალთა ერთეულების თანრიგში სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ პირველი სამეული ასეთია: ლ. ბაკონინა (მოსკოვი) — 39,12; მ. იგნატოვა (მოსკოვის ოლქი) — 38,76; ლ. გაბელაია (თბილისი) — 38,68. თბილისელ მ. ცერცვაძეს ჯერჯერობით მეათე შედეგი აქვს — 37,80.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

მთიელთა ნავები

ზენოცებით — თხისა და ცხვრის ტყავის მაგრად გაბერილი ტიკებით მთის ბობოქარ მდინარეებზე დაშვება ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი შეჯიბრებაა პამირში. პატარა ძალა და ვაჟკაცობა როდი უნდა ზენოცებით ბობოქარ და კლდოვანი ნაპირებით შემოჯარულ მდინარეზე ცურვას.

ეს შეჯიბრება ტრადიციად იქცა მთიელთა შორის. ამ სახეობის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან ბარტანგის ულამაზეს ხეობაში მდებარე სოფლების ბასიდისა და აჯირხის მცხოვრებნი.

ლ. ჩობრინი.

ხოროგი,
ტაჯიკეთის სსრ.

„სპორტული დღეგრძელობისთვის“

საბჭოთა მეურნეობა „იუჟინტაის“ წარმომადგენელმა, 78 წლის ცხენოსანმა ანტანას ტუბიალისმა მიიღო ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიზი „სპორტული დღეგრძელობისთვის“. ამ ზამთარში იგი მონაწილეობდა სპორტის ეროვნულ სახეობაში — ცხენშებმული მსუბუქი მარხილით გაყინულ ტბაზე ჯირითში გამართული რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალში.

ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა ტუბიალისმა მაშინ დაიწყო, როცა... სამოცს გადააბიჯა. დღეს მის კოლექციაში უკვე ბევრი მედალი და პრიზია დაცული.

ხ. ვაინტრაუბასი.

როკიშკისი,
ლიტვის სსრ.

დღეს აღიმართება სსრ კავშირის XXXVIII საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი

ძმები და მამა-შვილები

ფეხბურთელი ძმებისა და მამა-შვილების საკითხი სრულიად შემთხვევით წამოიჭრა რედაქციაში. ვსაუბრობდით ფეხბურთზე, მომავალ სეზონზე, ვიგონებდით ძველ ამბებს, მოთამაშეებს, ცალკეულ მატჩებს. ვიღაცამ ახსენა მოსკოვის „სპარტაკში“ ძმები სოკოლოვები თამაშობდნენო და მას მაშინვე შეუსწორეს, რომ ისინი ძმები კი არა, მხოლოდ მოგვარეები იყვნენ. შემდეგ შევუდექით საქართველოს გუნდებში მოთამაშე ძმების ჩამოთვლას და დაახლოებით ათამდე წყვილი დავადგინეთ. პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, გაგვახსენდა თბილისის გუნდების ცნობილი მოთამაშეები ბ. და ა. პაიჭაძეები, ბ. და მ. ბერძენიშვილები, გ., ჯ. და ს. ჯეჯელავები, ი. და ნ. სომოვები, გ. და ს. სიხარულიძეები, ს. და ი. შუდრები, ნ. და შ. ჩხატარაშვილები, კ., ნ. და ბ. გაგნიძეები, შ. და მ. ჯოჯუები, ა. და ს. კოტრიკაძეები, ჯ. და ო. კინწურაშვილები, ა. და ი. ბურჭულაძეები, მ. და გ. მაჩაიძეები, ქუთაისელები გ. და ლ. ნოდიები.

თითქოს, აქ სია უნდა შემწყდარიყო, მაგრამ იდეამ გაგვიტაცა. გადავქექეთ არქივი, გამოვკითხეთ ძველი თაობის ადამიანებს, ვეტერანებს და საკმაოდ ვრცელი ნუსხა შევადგინეთ. ამასთან, არ შემოვიფარგლეთ მარტო ოსტატთა გუნდებით, გავიხსენეთ ყველა, ვისაც კი უთამაშია რამდენადმე მაინც მაღალ დონეზე, თუნდაც, საქართველოს პირველობაზე.

ძმებმა საკმაოდ დიდი სია შეადგინეს. სხვადასხვა წელს თბილისის გუნდებში გამოდიოდნენ ნ. და ა. ანიკინები, ა. და ვ. რატიანები, შ. და ვ. რამიშვილები, ლ., შ. და გ. შატბერაშვილები, შ., ი. და ზ. მაღალაშვილები, ვ. და ა. აბულოვები, ნ. და ა. ბლანკმანები, ნ. და შ. ზუბალოვები, ი. და მ. ხანდამოვები, მ. და შ. ალექსეევები, ბ., დ. და ა. ჩიტაიები, ნ. და ვ. ამბოკაძეები, ა. და შ. მინჯიები, თ. და ბ. ჯორბენაძეები, გ. და მ. ფაცურიები, ნუგზარ და ნოდარ ჩიტაურები, ა. და ს. ჭკუასელები, შ. და ც. იამანიძეები.

ბევრი ძმა აღმოჩნდა ფოთის საფეხბურთო ცხოვრებაში: გოგინავები, ხორავები, ყურუები, ნიკოლაიშვილები, მიქაძეები, ქოიავები, არჩაიები, ეფრემიძეები.

სოხუმელთა შორის ვხვდებით ვ. და მ. თურქიებს, ი. და ა. გრამატიკოპულოებს, ი., ვ. და ნ. ვარდიმიადებს, ბათუმელებს ე. და დ. ტანტიბებს, კ. და ვ. ფსაროსებს, ს. და ა. იოაკიმიდებს, ქუთაისელებს ტ. და მ. გერაძეებს, თელაველებს როლ. და რომ. ცირეკიძეებს.

მამა-შვილებს შორის გაგვახსენდა დ. და ზ. ცომაიები, ვ., თ. და ბ. ჯორბენაძეები, ბ. და რ. პაიჭაძეები, ა. და თ. დოლობერიძეები, ა. და ა. დოროხოვები, ნ. და ჯ. ხერხაძეები, ო. და დ. ჟორდანიები, ბ. და ი. ფროლოვები, შ. და ვ. რამიშვილები, ლ. და ა. ნორაკიძეები, ძ. და გ. ლომაიები, კ. და ვ. ფეხლევანიდები, ა. და ი. ზაზროევები, დ. და დ. ყიფიანები.

რა თქმა უნდა, სია სრული არ არის, ყველა ვერ გავიხსენეთ. მაგრამ მკითხველებს შეუძლიათ მოგვაწოდონ ფეხბურთელი ძმებისა და მამა-შვილების გვარები, ოღონდ უნდა აღნიშნონ: თუ როდის და სად თამაშობდნენ ისინი. საფეხბურთო ოჯახების ვინაობა არ უნდა დაიკარგოს.

რ. ქორიძე.

დღეს თამაშობენ...

„დინამო“ თბ. — ცსკა
„არარატი“ — „სპარტაკი“
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ.
„ზარია“ — „ლოკომოტივი“
„კარპატი“ — „ტორპედო“
„ჩერნომორეცი“ — „კრილია სოვეტოვი“
„შახტიორი“ — „დინამო“ მნ.
„დნეპრი“ — „ზენიტი“

სტარტი ცსკა-სთან — მესამედ

ჩვენმა სტატისტიკოსებმა გადაათვალიერეს სსრ კავშირის ჩემპიონატების კალენდრები და გამოარკვიეს, რომ გათამაშების I ტურში თბილისის „დინამო“ სულ ორჯერ შეხვედრია მოსკოვის არმიელთა გუნდს.

პირველად ეს მოხდა 1952 წელს. მაშინ ჩვენს სპორტსმენებს დებიუტი ჰქონდათ ოლიმპიურ სარბიელზე, ამიტომ საკავშირო ჩემპიონატი ერთ წრედ ჩატარდა, ამასთან, ყველა მატჩი მოსკოვში გაიმართა. თბილისის „დინამომ“ სტარტი 9 აგვისტოს აიღო ცდსასთან შეხვედრით. ანგარიში შორი მანძილიდან დარტყმით გახსნა ჭკუასელმა, ტაიმის დასასრულს კი არმიელებმა შეძლეს საპასუხო გოლის გატანა. შესვენების შემდეგ თბილისელთა ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში ჩაგრა ბურთი, მაგრამ იმავე ჭკუასელმა ანგარიში გაათანაბრა — 2:2. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მოსკოველმა ნიკოლაევმა ისარგებლა დინამოელთა მეკარის შეცდომით და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 3:2.

მაგრამ იმ წელიწადს არმიელთა გუნდი დაიშალა და მისი შედეგები გააუქმეს, ხოლო თბილისის „დინამომ“ საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა.

1974 წელს თბილისის „დინამო“ და ცსკა 12 აპრილს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. უკვე მე-5 წუთზე ანგარიში გახსნა ბაბენკომ, შემდეგ კოპეიკინმა და ფედოტოვმა კიდევ ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი და მხოლოდ 84-ე წუთზე იხსნა „დინამო“ დიდი ანგარიშით დამარცხებისგან ყიფიანის დარტყმამ — 1:3.

1974 წელს თბილისელებმა IX ადგილი დაიკავეს ჩემპიონატში, არმიელებმა კი — XIII.

ასე რომ, დღეს ამ გუნდების მესამე შეხვედრაა საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში.

რეკორდები, რეკორდები...

სსრ კავშირის ჩემპიონატების ოთხი ათეული წლის ისტორიაში ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდა, რომელთაგან ზოგიერთი თავისებურ საფეხბურთო რეკორდად შეიძლება მოინათლოს. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

● ჩემპიონატებში ყველაზე მეტი ჩატარებული მატჩების რაოდენობით რამდენიმე წლის მანძილზე რეკორდსმენი იყო თბილისის დინამოელი ა. დოლობერიძე — 341 მატჩი. შემდეგ გამოჩნდნენ „ოთხასიანები“. ახლა რეკორდი ეკუთვნის მოსკოვის „ტორპედოს“ წარმომადგენელს ვ. შუსტიკოვს — 427.

● ჯერ კიდევ კარგა ხანს უცვლელი დარჩება მოსკოველი ა. პონომარიოვის საუკეთესო მაჩვენებელი ჩემპიონატებში გატანილი გოლების მხრივ. სხვადასხვა კლუბში გამოსვლებისას მან 152-ჯერ აიძულა მეკარეები ბადიდან გამოეტანათ ბურთი. II ადგილზეა მოსკოველი ნ. სიმონიანი — 144. ამჟამად მწყობრში მყოფი ფეხბურთელებიდან წინაა გ. ნოდია — 84 გოლი.

● ერთ სეზონში გატანილი ბურთებით რეკორდსმენია ნ. სიმონიანი („სპარტაკი“, მოსკოვი): 1950 წელი — 34 გოლი.

● თბილისის „დინამოს“ რეკორდსმენი გახლავთ ა. ღოღობერიძე. მან სულ 127 გოლი გაიტანა, 1950 წელს კი — 25.

● 3 გუნდი — მოსკოვისა და კიევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“ ყველა საკავშირო ჩემპიონატში გამოდიოდნენ. თბილისის „დინამო“ მხოლოდ 1936 წლის გაზაფხულზე არ მონაწილეობდა უმაღლეს ლიგაში.

● ყველაზე მეტჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი იყო მოსკოვის „დინამო“ — ათჯერ.

● ქულათა 100 პროცენტი აიღო მოსკოვის „დინამომ“ I ჩემპიონატში, 1936 წლის გაზაფხულზე (მონაწილეობდა 7 გუნდი).

● სამჯერ ზედიზედ ჩემპიონობა მოიპოვეს მოსკოვის არმიელებმა (1946, 1947, 1948 წ. წ.) და კიევის დინამოელებმა (1966, 1967 და 1968 წ. წ.).

● „დუბლი“ (ჩემპიონობაც და თასიც ერთ წელს) ყველაზე მეტჯერ მოიგო მოსკოვის „სპარტაკმა“ — სამჯერ, ამასთან, ორჯერ — ზედიზედ.

● ლენინგრადის „დინამო“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ქულათა 100 პროცენტი აიღო ჩემპიონატის სამივე პირველ პრიზიორთან (1938 წ.), მაგრამ გათამაშება მაშინ ერთ წრედ ჩატარდა. ორწრიან ჩემპიონატებში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ მოსკოვის „ტორპედოს“ (1946 წ.) და თბილისის „დინამოს“ (1966 წ.), როცა მათ პრიზიორებს 8-8 ქულა აართვეს.

● ყველაზე მეტი გოლი ერთ მატჩში გავიდა 1940 წელს: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) — 8:5.

● ყველაზე დიდი ანგარიში ფიქსირებული იქნა 1945 წელს: „დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — 10:0.

● კიშინიოვის „ბურევესტნიკი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც 1957 წელს აგებდა მოსკოვის „სპარტაკთან“ ანგარიშით 0:4 და შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის.

● 1945 წელს მოსკოვის დინამოელებმა 21 მატჩი ჩაატარეს დაუმარცხებლად და, ამას გარდა, 17 მატჩი ზედიზედ მოიგეს.

● 1949 წლის ჩემპიონატში მოსკოვის „დინამომ“ მეტოქეთა კარში ბურთების სარეკორდო რაოდენობა გაიტანა — 104.

● 1949 წელს ლენინგრადის „ზენიტმა“ პირველ 11 ტურში სულ ერთი ბურთი გაუშვა და ისიც პენალტით.

● 1948 წლის მატჩში მოსკოვის დინამოელმა ს. სოლოვიოვმა 3 წუთში 3 ბურთი გაიტანა მოსკოვის „ტორპედოს“ კარში.

● ჩემპიონატის ერთ მატჩში 5 ბურთი აქვთ გატანილი ე. შელაგინს (ლენინგრადის „სპარტაკი“), ი. დათუნაშვილს და გ. გავაშელს (ორივე — თბილისის „დინამო“), მაგრამ დათუნაშვილმა ამ წარმატებას მიაღწია ერთ ტაიმში.

● 1938 წელს დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელმა გ. ბიკეზინმა 8 პენალტი დაარტყა და ყველა გაიტანა.

● 1963 წელს ლ. იაშინმა („დინამო“, მოსკოვი) 27 მატჩში სულ 6 ბურთი გაუშვა (0,22 ბურთი თამაშში).

● იაშინს ეკუთვნის სხვა რეკორდიც: იგი 13-ჯერ იქნა შეყვანილი 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, ამასთან 11-ჯერ — პირველ ნომრად. თბილისის დინამოელი მ. ხურცილავა 10-ჯერ იყო ამ სიაში და ხუთჯერ — პირველ ნომრად.

● სსრ კავშირის ნაკრებში ყველაზე მეტჯერ ითამაშა ა. შესტერნიოვმა (91), შემდეგ მოდიან ლ. იაშინი — 78 და მ. ხურცილავა — 70.

● კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ო. ბლოხინი სამჯერ ზედიზედაა აღიარებული სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად და ოთხჯერ ფლობდა „ტრუდის“ პრიზს, როგორც საუკეთესო ბომბარდირი.

ც. ფცქიალაძე.

თბილისის „დინამო“

საგანაცხადო შემადგენლობა

სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი. II ადგილი ეკავა 1939, 1940, 1951, 1953 წლებში. III ადგილი ეკავა 1936 (შემოდგომა), 1946, 1947, 1950, 1959, 1962, 1967, 1969, 1971 და 1972 წლებში. სსრ კავშირის თასის ფინალისტი 1936, 1937, 1946, 1960, 1970 წლებში. უმაღლეს ლიგაში უცვლელად გამოდის 1936 წლის შემოდგომიდან.

უფროსი მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი.

გუნდის უფროსი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა.

მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მეტრეველი, სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე.

წოდება		დაბ. წელი	ჩატ. მატჩები	გატან. გოლები
	მეკარეები			
სპ. ოსტ.	დ. გოგია	1948	120	—
„	მ. გაგოშიძე	1953	24	—
	გ. იმნაძე	1955	7	—
	მცველები			
სპ. ოსტ.	რ. ძოძუაშვილი	1945	290	5
„	ვ. ჭელიძე	1945	238	7
„	ზ. ებრალიძე	1944	257	6
„	შ. ხინჩაგაშვილი	1951	88	—
„	ფ. კანთელაძე	1949	119	—
„	ვ. ქორიძე	1949	46	5
„	ნ. ხიზანიშვილი	1953	17	—
„	დ. მუჯირი	1956	18	—
	გ. ჭილაია	1957	—	—
	ნახევარმცველები			
სპ. ოსტ.	მ. მაჩაიძე	1949	167	25
„	გ. გავაშელი	1947	183	48
„	გ. მაჩაიძე	1950	46	—
	ვ. კოპალეიშვილი	1954	7	—
	ა. ჩივაძე	1955	1	—
	ა. მინაშვილი	1957	—	—
	თ. ჩხაიძე	1955	—	—
	თავდამსხმელები			
სპ. ოსტ.	ვ. გუცაევი	1952	104	22
„	დ. ყიფიანი	1951	100	27
„	ზ. წერეთელი	1953	53	5
„	თ. ესებუა	1954	28	—
	ვ. დარასელია	1957	13	—
	რ. ჩელებაძე	1955	—	—
	ვ. ვლაშჩენკო	1956	—	—

შინ და გარეთ

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ჩატარდება ერთ წრედ. ამასთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ თითოეულ გუნდს ვისთან უწევს თამაშები შინ და გარეთ, გარდა ამისა, ზოგიერთ მათგანს სტუმრად ერთი თამაშით მეტის ჩატარება მოუწევს, ვიდრე შინ.

ვაქვეყნებთ თბილისის „დინამოს“ შეხვედრათა კალენდარს შინ და გარეთ ცალ-ცალკე:

შინ

4 აპრილს — ცსკა
10 აპრილს — „სპარტაკი“
2 მაისს — „კრილია სოვეტოვი“
14 მაისს — „კარპატი“
1 ივნისს — „ზარია“
15 ივნისს — „დნეპრი“
6 ივლისს — „ტორპედო“

სტუმრად

18 აპრილს — „ზენიტი“
25 აპრილს — „დინამო“ მნ.
9 მაისს — „ჩერნომორეცი“
19 მაისს — „ლოკომოტივი“
23 მაისს — „დინამო“ კ.
8 ივნისს — „შახტიორი“
22 ივნისს — „არარატი“
13 ივლისს — „დინამო“ მ.

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ შინ უნდა ითამაშოს 7 მატჩი, სტუმრად — 8. თანაც, სტუმრად მას ბრძოლა მოუწევს ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც არიან კიევის „დინამო“, „არარატი“, „შახტიორი“ და მოსკოვის „დინამო“.

საშუალო შედეგი

სსრ კავშირის ჩემპიონატებში თითოეული გუნდის მონაწილეობის საერთო საშუალო შედეგი, უდავოდ, ინტერესს გამოიწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის. ამის გამოსავლენად იმ გუნდების მიერ საკავშირო ჩემპიონატებში დაკავებული ადგილების არითმეტიკული ჯამი, რომლებიც 38-ე ჩემპიონატში გამოდიან, გავყავით ჩემპიონატებში მონაწილეობის რიცხვზე.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა მოსკოვის „დინამოს“ — 3,4. შემდეგ მოდიან: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 3,9, „დინამო“ (თბილისი) — 4,8, „დინამო“ (კიევი) და ცსკა — 4,9 თითოეულს, „ტორპედო“ (მოსკოვი) — 6,1, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 7,7, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — 8,9, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 9,4, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — 9,7, „არარატი“ (ერევანი) — 10,2, „შახტიორი“ (დონეცკი) — 10,4, „კარპატი“ (ლვოვი) — 11, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — 11,5.

წლეულს შემატებული გუნდების შედეგები ასეთია: „დინამო“ (მინსკი) — 10,2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 11,6.

გ. ნაჭყებია.

ლანჩხუთი.

საიუბილეო სტატისტიკა

„დინამო“ (კიევი)

მე-19 შეხვედრა გუნდისთვის იქნება საიუბილეო — მეათასე, პირველივე ფრე რიგით მე-300, გატანილი 24-ე გოლი — 1550-ე, ხოლო საკუთარ კარში მიღებული მე-11 გოლი — მე-1200.

„შახტიორი“ (დონეცკი)

მე-14 მატჩი დონეცკელთათვის იქნება მე-800 შეხვედრა, პირველივე წაგება კი მე-300 დამარცხება.

„დინამო“ (მოსკოვი)

მე-15 მატჩი მოსკოველებისთვის მეათასეა, გატანილი 29-ე გოლი— მე-1900, ხოლო საკუთარ კარში მიღებული მე-10 ბურთი — 950-ე.

„ტორპედო“ (მოსკოვი)

მე-13 გატანილი გოლი გუნდისთვის მე-1500 იქნება, ხოლო საკუთარ კარში მიღებული 21-ე გოლი — მე-1200.

„არარატი“ (ერევანი)

26-ე მატჩი გუნდისთვის 550-ე იქნება, მე-11 ფრე — 150-ე, ხოლო მესამე წაგება — რიგით მე-200.

„კარპატი“ (ლვოვი)

მეათე მოგება ლვოველთათვის საიუბილეო, 50-ე იქნება, ხოლო საკუთარ კარში მიღებული მე-13 ბურთი — მე-200.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)

30-ე შეხვედრა გუნდისთვის იქნება 150-ე, მეათე მოგება—50-ე, ასევე 50-ე იქნება მეცხრე ფრე და რიგით მე-11 წაგებაც.

„დინამო“ (თბილისი)

24-ე შეხვედრა თბილისელთათვის საიუბილეოა — მეათასე, რიგით მეცხრე მოგება — 450-ე, საკუთარ კარში მიღებული მეცხრე ბურთი კი — მე-1200.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)

მე-12 შეხვედრა გუნდისთვის მე-300 იქნება, მეექვსე მოგება, მეორე ფრე და მეოთხე წაგება კი — მეასე, გატანილი მე-12 და საკუთარ კარში მიღებული მეორე გოლი იქნება მე-300.

„სპარტაკი“ (მოსკოვი)

მე-19 მატჩი „სპარტაკისთვის“ მეათასეა, მეცხრე მოგება—მე-500, მერვე წაგება — 250-ე, მერვე მიღებული გოლი კი — 1050-ე.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

გატანილი მე-16 გოლი გუნდისთვის მეათასე იქნება.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა)

მე-11 ფრე გუნდისთვის მეასე იქნება, გატანილი მეორე გოლი კი — 250-ე.

ცსკა

პირველივე ფრე საიუბილეო, 250-ე იქნება, მეოთხე წაგება — 250-ე, გატანილი მე-20 გოლი კი — მე-1600.

„ზენიტი“ (ლენინგრადი)

გატანილი 23-ე გოლი გუნდისთვის მე-1200 იქნება, ხოლო საკუთარ კარში მიღებული 24-ე გოლი — მე-1400.

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)

სეზონის ბოლოსწინა მატჩი გუნდისთვის 650-ე იქნება, მე-12 ფრე — რიგით მე-200, ხოლო საკუთარ კარში მიღებული მესამე გოლი — 850-ე.

„დინამო“ (მინსკი)

საკუთარ კარში მიღებული მე-12 გოლი გუნდისთვის რიგით 950-ე იქნება.

ჯ. ჩაჩავა.

ცხაკაია.

ყველა დროის კაპიტნები

ჩვენს გაზეთში შარშან გამოქვეყნდა წერილი, სადაც ჩამოთვლილი იყვნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყველა დროის უფროსი მწვრთნელები (მოყოლებული 1936 წლიდან). ახლა თბილისელმა გულშემატკივარმა **გ. ჭიაურელმა** მოგვაწოდა იდეა გავიხსენოთ გუნდის ყველა დროის კაპიტნები.

1936-40 წლებში თბილისის „დინამოს“ კაპიტანი იყო შ. შავგულიძე,

1941-47 და 1949-51 წლებში — ბ. პაიჭაძე,

1948 წელს — გ. ჯეჯელავა,

1951-56 და 1958-60 წლებში — ა. ღოღობერიძე,

1957 წელს — ვ. ელოშვილი,

1961-66 წლებში — შ. იამანიძე,

1967-71 წლებში — ს. მეტრეველი,

1971-75 წლებში — მ. ხურცილავა,

1975 წლიდან — ზ. ებრალიძე.

ცალკეულ შემთხვევებში გუნდი მინდორზე გამოჰყავდათ გ. გაგუას, ა. კიკნაძეს, გ. ჩოხელს, ზ. კალოევს, კ. ასათიანს, რ. ძოძუაშვილს და სხვ.

შოთა შავგულიძე

ბორის პაიჭაძე

გაიოზ ჯეჯელავა

ავთანდილ ღოღობერიძე

ვლადიმერ ელოშვილი

შოთა იამანიძე

სლავა მეტრეველი

მურთაზ ხურცილავა

ზორბეგ ებრალიძე

მრავალგზის ჩემპიონები

1947 წლიდან მოყოლებული სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდის მოთამაშეები, რომლებმაც ჩაატარეს კალენდარული მატჩების არანაკლებ 50 პროცენტი, ღებულობენ ოქროს მედლებს. თუ ამ პრინციპს გავავრცელებთ 1936-1946 წლების ჩემპიონატებზეც, მივიღებთ, რომ განვლილი 37 ჩემპიონატის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონის წოდება სულ მოპოვებული აქვს 275 ფეხბურთელს.

ექვსგზის ჩემპიონები: ვ. მუნტიანი და ე. რუდაკოვი („დინამო“ კ.).

ხუთგზის ჩემპიონები არიან მ. სემიჩასტნი, ლ. იაშინი („დინამო“, მ.), ა. გრინინი, ვ. დიომინი, ვ. ნიკანოროვი, ვ. ნიკოლაევი, ვ. სოლოვიოვი (ცდკა), ი. ნეტო („სპარტაკი“).

ოთხგზის ჩემპიონები: ა. ვოდიაგინი, ვ. ჩისტოხვალოვი (ცდსა), ა. ბაშაშკინი (ცდსა და „სპარტაკი“), ა. ილინი, ა. პარამონოვი, ნ. სიმონიანი („სპარტაკი“), კ. კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ა. მამედოვი, ვ. ცარიოვი („დინამო“ მ.), ა. ბიშოვეცი, ფ. მედვიდი, ა. პუზაჩი, ი. საბო, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. სოსნიხინი, ვ. ხმელნიცკი („დინამო“ კ.).

სამგზის ჩემპიონები: ს. ილინი, მ. იაკუშინი, ვ. კესარევი, ა. ლაპშინი, ვ. რიჟკინი, ვ. სავდუნინი, ს. სოლოვიოვი, პ. ფედოსოვი, ვ. შაბროვი („დინამო“ მ.), გ. გლაზკოვი, ა. მასლიონკინი, ი. სედოვი, ან. სტაროსტინი, ვ. სტეპანოვი, ნ. ტიშჩენკო („სპარტაკი“), გ. ფედოტოვი, ი. კოჩეტკოვი, კ. ლიასკოვსკი (ცდკა), ნ. დემენტიევი, ს. სალნიკოვი („დინამო“ მ. და „სპარტაკი“), ა. ბიბა, ვ. ვერემეევი, ვ. კოლოტოვი, ს. კრულიკოვსკი, ვლ. ლევჩენკო, ვ. მატვიენკო, ვ. პორკუიანი, ს. რეშკო, ვ. ტურიანჩიკი, ვ. შჩეგოლკოვი, ვ. ტროშკინი („დინამო“ კ.), ლ. ოსტროვსკი („ტორპედო“ და „დინამო“ კ.), ვ. ონიშჩენკო („ზარია“ და „დინამო“ კ.).

თბილისის „დინამო“ ყველა ჩემპიონატში

წელი		ბურთები	ქულები	ადგილები
1936	(შემოდ.)	14—9	16	III
1937		30—24	34	IV
1938		53—38	31	VI
1939		60—41	33	II
1940		56—30	34	II
1945		37—22	26	IV
1946		47—26	33	III
1947		57—30	33	III
1948		54—35	33	IV
1949		62—45	40	VI
1950		78—50	47	III
1951		59—36	36	II
1952		19—12	16	IV
1953		39—24	27	II
1954		38—47	23	VIII
1955		25—36	16	IX
1956		42—46	20	VIII
1957		27—33	21	VII
1958		34—55	19	IX
1959		48—33	27	III
1960		67—44	36	VIII
1961		50—30	33	VII
1962		46—30	42	III
1963		56—42	47	V
1964		52—31	48	I
1965		37—30	36	VI
1966		47—34	40	VII
1967		53—33	45	III
1968		53—29	45	VII
1969		34—17	35	III
1970		43—30	36	IV
1971		33—33	36	III
1972		41—34	35	III
1973		42—33	31	V
1974		29—34	30	IX
1975		32—32	31	VIII

იმედის თვალით

მოვიდა ახალი საფეხბურთო სეზონი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდით გულშემატკივრები.

წლევანდელი სეზონი სპეციფიკურია: უნდა ჩატარდეს ორი ჩემპიონატი. ფეხბურთის მოყვარულები ვიმედოვნებთ, რომ ამ ორ ასპარეზობაში თბილისის დინამოელები გამოასწორებენ ბოლო წლების ჩამორჩენას და დამსახურებულად დაიკავებენ ადგილს მოწინავეთა შორის.

რ. ჭანტურია.

სოფ. ეწერი,
აბაშის რაიონი.

დავიბრუნოთ უწინდელი პოზიციები

ბოლო ორი წლის მანძილზე დაკავებული IX და VIII ადგილები, რა თქმა უნდა, წარუმატებლობაა თბილისის „დინამოსთვის“ და არ აკმაყოფილებს გუნდის თაყვანისმცემლებს.

თბილისის „დინამოში“ ახლა არიან გამოცდილი ფეხბურთელებიც და ახალგაზრდა მოთამაშეებიც. გამოცდილებისა და სიჭაბუკის ამ ნაერთმა აუცილებლად უნდა მოგვცეს სასურველი შედეგი. გვსურს თბილისის „დინამო“ ცხრილის სათავეში ვიხილოთ.

რ. შენგელია.

სოფ. პირველი ჭოლა,
ხხოროწყუს რაიონი.

კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე

— ვლადიმერ მარჩენკო ისეთი სპორტსმენია, რომელსაც თავის „ტანვარჯიშულ განათლებაში“ ნაკლი არა აქვს, — ასე განაცხადა 2 აპრილს გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზებზე ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მრავალჭიდში გამარჯვებულზე სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლეონიდ არკაევმა. გროზნოელი სტუდენტის, 23 წლის მარჩენკოს შედეგია 56,85 ქულა. II ადგილზე გავიდა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი, თბილისელი პაატა შამუგია — 56,35. მესამე იყო ვლადიმერ ტიხონოვი (დონის როსტოვი) — 56,30.

ამ საღამოს საინტერესო კომბინაციებით გამოვიდნენ, აგრეთვე, კუბელთა გუნდის ლიდერი ხორხე კუეროვ და ტაიჯზე ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონი ზოლტან მადიარი (უნგრეთი).

შეჯიბრება ლუჟნიკის სპორტის სასახლეში კიდევ ორ დღეს გასტანს. 3 აპრილს სპორტსმენი ქალები „მოსკოუ ნიუსის“ მთავარ პრიზს გაითამაშებენ მრავალჭიდში, კვირას კი გამოვლინდებიან მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულები [illegible] და მედალები.

მოსკოვი, 2 აპრილი.

გაიმარჯვეს სამტრედიელებმა

თბილისში, რკინიგზელთა სახლში საგაზაფხულო არდადეგების დღეებში გაიმართა საქართველოს რკინიგზის სკოლების მოჭადრაკეთა პირად-გუნდური პირველობა (თითოეულ გუნდში 3 ბიჭი და 1 გოგონა იყო).

უძლიერესის სახელი მოიპოვა სამტრედიის 24-ე სკოლის კოლექტივმა (ვ. შანიძე, ა. ძიძიგური, მ. ლეჟავა, ქ. ჯადუგიშვილი) — 21,5 ქულა 32-დან. II ადგილზეა ქუთაისის 23-ე სკოლის გუნდი (ა. ბერუაშვილი, მ. დარახველიძე, თ. ბოჭორიშვილი) — 19,5, III — თბილისის 1-ლი სკოლის კოლექტივი (მ. ურიდია, ქ. გოგაშვილი, მ. გაჩეჩილაძე, ლ. ფახურიძე) — 18.

შემდეგ მოდიან ოჩამჩირის მე-15 (14,5 ქულა), ხაშურის 25-ე (13,5), მორაპნის მე-8 (9,5), ხარაგაულის მე-10 (7,5) და ცხაკაიას 1-ლი სკოლების (7) გუნდები.

გაკვირვებას იწვევს, რომ ქუთაისის გუნდს გოგონათა შეჯიბრებაში არავინ გამოუყვანია. სწორედ ამან დააკარგვინა მას პირველობა.

ნორჩი მოჭადრაკეები საინტერესოდ თამაშობდნენ. ცალკეულ დაფებზე პირველობისთვის დიდი ბრძოლა გაჩაღდა. პირველ დაფაზე I-III ადგილები გაიყვეს ა. ბერუაშვილმა, ს. მინასიანმა (ოჩამჩირე) და ვ. შანიძემ — 6-6 ქულა 7-დან. მეორე დაფაზე თავი ისახელა 10 წლის ქუთაისელმა მამუკა დარახველიძემ, რომელმაც შვიდივე შეხვედრა მოიგო. ბიჭუნამ პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მისი მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის დ. ჩირაძის აზრით, მამუკა საიმედო მოჭადრაკეა. მესამე დაფაზე პირველი იყო თ. ბოჭორიშვილი — 6,5 ქულა. მეოთხე დაფაზე ყველას აჯობა თბილისელმა ლ. ფახურიძემ. მას მხოლოდ ხუთი შეტოქე ჰყავდა და მაინც მოიპოვა პირველთანრიგოსნის სახელი.

ერთი შენიშვნა: ძალიან შეზღუდული იყო შეჯიბრების რეგლამენტი. ბავშვები დღეში ორ-ორ პარტიას თამაშობდნენ, ამიტომ მათ თითქმის არ დარჩათ დრო თბილისის დასათვალიერებლად. თვით პირველობა კარგად იყო ორგანიზებული, რისთვისაც თბილისის რკინიგზის სახლის მესვეურები მადლობას იმსახურებენ.

რ. თავარიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: შეჯიბრების ნორჩი გმირი მ. დარახველიძე.

სპორტი ცხოვრება და სიხარულია

შ. ზუკაკიშვილი 50 წლისაა

სპორტი ჭეშმარიტი ცხოვრება და სიხარულია, თუ უანგაროდ, მთელი არსებით ემსახურები. სპორტი ცხოვრებაა, იმიტომ, რომ ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ფაქიზ გრძნობებს ეხება. სპორტი სიხარულია, ვინაიდან ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. კაცმა რომ თქვას, აქ ძნელი გასარკვევია, რა უფრო მეტ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანს, უშუალოდ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, მათი ხელმძღვანელობა და წარმართვა, თუ ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

შოთა ზუკაკიშვილი თავის დროზე სპორტსმენი იყო, მერე საზოგადოებრივ საწყისებზე რამდენიმე სექცია ჩამოაყალიბა ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. იგი ახლაც გატაცებით, მთელი სულითა და გულით მუშაობს სპორტში, თუმცა კი ძირითადი პროფესია სხვა აქვს — ავტომექანიკოსია. და როგორც კი თავისუფალ დროს ჩაიგდებს ხელში, საჭიდაო სარბიელზე შემოდის, რათა ახალგაზრდებს მოემსახუროს.

დიახ, მოემსახუროს... ამ სიტყვას მის ცხოვრებაში საგანგებო მნიშვნელობა აქვს. რა საქმისთვისაც კი მოუკიდნია ხელი, ბოლომდე მისი ერთგული დარჩენილა, იმიტომ, რომ უყვარს შრომა — ადამიანთა ყველაზე კეთილშობილური მოწოდება. შრომა მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი იყო მუდამ, ამიტომაც თამამად ვამბობთ, რომ იგი შრომის კაცია.

წლინახევრისაც არ იყო, დედა რომ გარდაეცვალა. მერე მამაც დაკარგა და უმცროს დასთან ერთად ბებია ზრდიდა. 11 წლისას უკანასკნელი საყრდენიც გამოეცალა და პატარა დის იმედად დარჩა. მაგრამ ჭაბუკს შრომის საოცარი უნარი აღმოაჩნდა და, ვინაიდან კეთილი ადამიანებიც გვერდით იყვნენ, ყველაზე რთულ საქმეს — მწყემსობას მოჰკიდა ხელი.

ეს იყო პასუხსაგები წლები ჭაბუკის ცხოვრებაში. ეს იყო ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბების რთული პერიოდი, რომელშიც ახალგაზრდა მწყემსმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა.

სპორტში — ჭიდაობაში ზუსტად მაშინ დახელოვნდა. თავისუფალ დროს ჭიდაობდა ტოლ-ამხანაგებთან და საჭირო გამოცდილებასთან ერთად იძენდა მტკიცე ხასიათს, შეუპოვრობას, მიზანსწრაფვას.

ერთ მშვენიერ დღეს უკვე მოღონიერებულ და აქოჩრილ ბიჭუნას თვალი დაადგა მამიდაშვილმა, 25 წლით უფროსმა გიორგი ხოსიტაშვილმა, რომელიც იმხანად განთქმული ფალავანი იყო. დაადგა თვალი და არ მოეშვა, სანამ საბოლოოდ არ აზიარა ჭიდაობას. მერე კი იმაში, რომ შოთა ზუკაკიშვილმა მწყემსი ბიჭების საჭიდაო სარბიელი უფრო ორგანიზებული ფორმით შეცვალა, იყო თავისი სიბრძნე. დიდ სპორტში სხვაგვარად ვერ მივიდოდა. არადა მასთან დაახლოების სურვილი მაშინვე გაუჩნდა, როგორც კი შეიგნო ნამდვილი ჭიდაობის სიბრძნე.

შოთა ზუკაკიშვილს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯსა და ახალგაზრდობის აღმზრდელს, ბევრი რამ აქვს საამაყო და მოსაგონარი, მაგრამ იგი თავის პირველ ნაბიჯებს ჩვენი ჭიდაობის დიდი მოამაგეების ვახტანგ კუხიანიძისა და ქრისტეფორე ნინიაშვილის სახელებს უკავშირებს. ისინი ახალგაზრდა მოჭიდავისა და ენთუზიასტის მთავარი მასწავლებლები და დამრიგებლები არიან, რომლებმაც ერთადერთი და სწორი გზით წარმართეს ახალგაზრდა კაცის სპორტული გატაცება.

რით ამაყობს დღეს ყველაზე მეტად 50 წელს მიღწეული ენთუზიასტი? 52 სპორტის ოსტატის მომზადება — ეს უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს, მაგრამ ჩვენს ხელთაა საპატიო დიპლომი, რომელიც შოთას გადაეცა სსრ კავშირის მაშინდელი ჩემპიონის შენგელი ფიცხელაურის მომზადებისთვის. ეს კი მართლაც დიდი გამარჯვება და მწვრთნელის შრომის აღიარებაა. შოთას კიდევ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს მომზადებული, მაგრამ სამაგალითოდ ეს ერთიც კმარა.

მეორე ცხოვრება? ეს მისი ძირითადი გატაცებაა — ავტომექანიკოსის პროფესია, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი შესწირა და რასაც დღემდე წარმატებით ემსახურება თბილისის № 2661 ავტოკოლონაში.

შოთა ზუკაკიშვილი, ამავე დროს, ოჯახის პატრონია, ოჯახისა, სადაც სპორტს დიდი როლი და ადგილი აქვს დათმობილი. შოთას უფროსი ვაჟი, 27 წლის ვასო, პროფესიით იურისტი, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი და საკმაოდ კარგი სამბისტი იყო, ხოლო უმცროსმა ვაჟმა იოსებმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და რამდენიმეჯერ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონატის პრიზიორის სახელი სამბოში.

არის კიდევ სპორტული მოღვაწეობის ერთი სფერო, სადაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი შ. ზუკაკიშვილმა. ეს სფეროა მსაჯობა. 20 წელია, რაც სასტვენით ხელში კეთილსინდისიერად ემსახურება რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებს და მუდამ ჭიდაობის ღრმა ცოდნასა და პრინციპულობას ამჟღავნებს. სხვაგვარად ვერც გახდებოდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. სხვათა შორის, შოთა ზუკაკიშვილმა სამბოს საბჭოთა არბიტრებს შორის პირველმა მიიღო ეს საპატიო წოდება, ხოლო როცა სამბო საერთაშორისო სარბიელზე გავიდა, I მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ოფიციალური შეხვედრის მსაჯობა მას დაევალა.

...იგი დიდხანს არ ტოვებს სარბიელს, დამატებით რჩევას აძლევს ახალგაზრდებს და ისინიც ყოველი ილეთის შესრულების შემდეგ ამაყად უყურებენ მწვრთნელს. უნივერსიტეტის (შოთა ზუკაკიშვილი ფიზაღზრდის მასწავლებელია ამ უმაღლეს სასწავლებელში) სპორტულ დარბაზში მოჭიდავეების ვარჯიშის დრო უკვე ამოიწურა, მაგრამ, სანამ მათი შემცვლელები ჯერ კიდევ გასახდელში არიან, შოთა ცდილობს დრო უქმად არ დაკარგოს.

— რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად თქვენი სპორტული ცხოვრებიდან? — ვკითხეთ ერთხელ შოთას. მან დიდხანს იფიქრა და მხოლოდ ამის შემდეგ გვიპასუხა:

— 1965 წლის აგვისტო, უფრო ზუსტად კი ის დღე, როცა საქართველოს სამბისტთა გუნდმა პროფკავშირების სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ამ ტურნირში მწვრთნელად შალვა ნოზაძესთან და გურამ პაპიტაშვილთან ერთად შოთა ზუკაკიშვილიც იყო...

თ. ჯობავა.

• • •

სურათზე: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შ. ზუკაკიშვილი ევროპის სამბისტთა ჩემპიონატის არბიტრის როლში.

ვ. განგუკის ფოტო.

პროფესიული კრივის ზნე-ჩვეულებანი

მკვლელობისთვის... პრიზი

კანბერა, 3 აპრილი. (საქდესის კორ.). სიდნეიში ტრაგიკულად დამთავრდა პროფესიონალი მოკრივეების — ამერიკელი ჩაკ ვილბურნისა და ავსტრალიელი ჰექტორ ტომპსონის ორთაბრძოლა. ათი რაუნდის განმავლობაში ტომპსონი დაუნდობლად ურტყამდა თავის აშკარად მოუმზადებელ მეტოქეს. მაშინაც კი, როცა ვილბურნმა სავსებით დაკარგა თავდაცვის უნარი, არც მსაჯსა და არც სეკუნდანტებს ბრძოლა არ შეუჩერებიათ. უკანასკნელი, მეათე რაუნდის დამთავრებამდე 45 წამით ადრე ამერიკელმა ვერ გაუძლო დარტყმების სერიას და რინგის კუთხეში დაემხო... ყველა ცდა, მოეყვანათ იგი გონზე, ამაო გამოდგა. ვილბურნი გააქანეს საავადმყოფოში, სადაც ოთხსაათიანი ოპერაციის შემდეგ ექიმებმა 22 წლის მოკრივის მდგომარეობა უიმედოდ გამოაცხადეს.

ყოველივე ეს ერთობ დამახასიათებელია პროფესიული კრივისთვის. მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტი სპორტის ამოცანებთან, რომლის მოწოდებაცაა ადამიანებში რაინდობა და კეთილშობილება გაალვივოს. ახალგაზრდა ამერიკელი სპორტსმენის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ტომპსონს კი, რომელმაც, სხვათა შორის, ამ ხუთნახევარი წლის წინათ რინგზე საიქიოში გაისტუმრა ესპანელი მოკრივე როკო სპანიუ, ამ, პროფესიონალებისთვის ჩვეულებრივ „საჩვენებელ“ ბრძოლაში „გამარჯვებისთვის“ გადაეცა პრიზი — 2,5 ათასი ამერიკული დოლარი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

საფრანგეთი

გაიმართა ეროვნული პირველობის მორიგი, XXVIII ტური. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ამ ტურში ლიდერი შეიცვალა. ახლა ყველა მატჩის შედეგებს გაგაცნობთ და დავუმატებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონმა — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალისტმა „სენტ-ეტიენმა“ არა მარტო ლიდერობა დაკარგა, არამედ... IV ადგილზეც კი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურში ერთბაშად ოთხმა გუნდმა მოიპოვა 3-3 ქულა. საფრანგეთში ასე „აჯილდოებენ“ გუნდს, რომელიც დიდი ანგარიშით მოიგებს.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ცენტრალური შეხვედრა შედგა ნანტში, სადაც ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა „სენტ-ეტიენს“ უმასპინძლა. მატჩზე მოსულ 27 ათასამდე მაყურებელს იმედი გაუმართლდა: მასპინძელთა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვა. ანგარიში მე-9 წუთზე ბოსისმა გახსნა. პირველ ტაიმში ეს ერთადერთი გოლი იყო. 65-ე წუთზე „ნანტის“ პოლონელმა თავდამსხმელმა რობერტ გადოხამ მეორე გოლი გაიტანა იუგოსლაველი ჩურკოვიჩის კარში, 74-ე წუთზე კი რამპიიონმა დამატებითი ქულა შესძინა თავის გუნდს.

„სენტ-ეტიენს“ გაუსწრეს „სოშომ“ და „ნიცამაც“. პირველმა შინ დაამარცხა „მონაკო“ (4:0), ხოლო მეორემ საინტერესო ბრძოლაში სძლია მარსელის „ოლიმპიკს“ — 2:1. ანგარიში მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ, იუგოსლაველმა იოსიპ კატალინსკიმ გახსნა (მე-40 წუთი). 2 წუთის შემდეგ სანჩესმა ანგარიში გაზარდა. მეორე ტაიმში (61-ე წუთი) არგენტინელმა ვიქტორ იასალდემ მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო.

სტრასბურგში ერთ-ერთი აუტსაიდერი — ადგილობრივი „რესინგი“ „ბასტიას“ შეხვდა. მატჩის გმირი იყო სტუმართა გუნდის თავდამსხმელი, იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დრაგან ჯაიჩი. მე-11 წუთზე მისმა ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია. პირველი ტაიმის მიწურულს შპიგელმა გაქვითა ეს გოლი, მაგრამ მეორე ტაიმში „ბასტიამ“ მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება. 66-ე წუთზე პაპიმ დააწინაურა სტუმრები, 82-ე წუთზე კი ჯაიჩმა (პენალტით) მესამედ აიღო „რესინგის“ კარი — 3:1.

„ვალანსიენმა“ შინ დაამარცხა „მეცი“ (3:0), ხოლო ლიონის „ოლიმპიკმა“ ასევე საკუთარ მინდორზე და ასეთივე ანგარიშით მოუგო თავის ლაველ თანაკლუბელებს.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჟირონდა“ (ბორდო) — „პარი სენ-ჟერმენი“ (პარიზი) 2:1, „ოლიმპიკი“ (ნიმი) — „ოლიმპიკი“ (ავინიონი) 1:0, „ტრუა“ — „რესინგი“ (ლანი) 1:1, „ნანსი“ — „რეიმსი“ 3:1.

ლიდერთა ჯგუფი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	დ.ქ.	ქ.
„ნანტი“	28	11	12	5	56:35	6	40
„სოშო“	28	14	7	7	46:38	5	40
„ნიცა“	28	12	10	6	52:34	4	38
„სენტ-ეტიენი“	27	13	10	4	42:27	2	38
„რეიმსი“	28	13	6	9	53:37	4	36

(საქ. ინფ.).

• • •



სურათზე: „ნიცის“ იუგოსლაველი ცენტრალური მცველი იოსიპ კატალინსკი, რომელიც თავის ახალ გუნდში უდიდესი წარმატებით თამაშობს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02225